# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №54
## 2014 წლის 24 ნოემბერი

## ქ. ვანი

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანების შესაბამისად,
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**
დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართი №1-ის შესაბამისად;
**მუხლი 2**
დადგენილებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების დასაკავებლად.
**მუხლი 3**
ატესტაციისას მოსამსახურეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა შეფასება ხორციელდება ამ დადგენილებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
**მუხლი 4**
ატესტაციისას მოსამსახურეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა ტესტირებისას მინიმალური გამსვლელი ზღვარი დადგინდეს მაქსიმალურ ქულათა 60 %-ის ოდენობით.
**მუხლი 5**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ვანის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ალექსანდრე ლილუაშვილი**

**დანართი 1**

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

**მუხლი 1. საერთო საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
1.საკრებულოს აპარატის ყველა საჯარო მოსამსახურეს მოეთხოვება:
ა. ქართულ ენაზე გამართულად წერისა და მეტყველების უნარი;

ბ. საოფისე კომპიუტერული პროგრამების - **Ms Word, Ms Excel, Internet Explorer** - სამომხმარებლო დონეზე ცოდნა და ფლობა;

გ. შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

გ.ა. საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

გ.გ. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ.დ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.ე. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

დ. ზოგადი და პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი უნარები;

**მუხლი 2. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

1. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები წესდება საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგებისა და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად.

2. საკრებულოს აპარატის უფროსს მოეთხოვება:

ა. უმაღლესი განათლება, სასურველია მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ. არანაკლებ 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება;

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

ე. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

3. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ვ.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ვ.ბ. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

ვ.გ. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

ვ.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ვ.ე. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

ზ. სასურველია ინგლისურ და/ან რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი;

3. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს მოეთხოვება:

ა. უმაღლესი განათლება, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ. არანაკლებ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება;

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ე. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ე.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ე.ბ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ე.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

ვ. სასურველია ინგლისურ და/ან რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი;

4. საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსს მოეთხოვება:

ა. უმაღლესი განათლება, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ. არანაკლებ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება; სასურველია საორგანიზაციო და/ან საქმისწარმოების სფეროში;

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

ე. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ვ. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ვ.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ვ.ბ. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

ვ.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ვ.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

ზ. სასურველია ინგლისურ და/ან რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი;

5. საკრებულოს სამდივნო განყოფილების უფროსს მოეთხოვება:

ა. უმაღლესი განათლება, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ. არანაკლებ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება; სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის და/ან საქმისწარმოების სფეროში;

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

ე. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ვ. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ვ.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ვ.ბ. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

ვ.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ვ.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

ზ. სასურველია ინგლისურ და/ან რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი;

6. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს სამართლებრივი უზრუნველყოფის (იურიდიულ) საკითხებში

მოეთხოვება:

ა. უმაღლესი იურიდიული განათლება, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ. არანაკლებ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება (სასურველია შესაბამის სფეროში);

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

ე. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ვ. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ვ.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ვ.ბ. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

ვ.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ვ.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

7. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის (ლოჯისტიკის) საკითხებში მოეთხოვება:

ა. საშუალო-სპეციალური განათლება (სასურველია უმაღლესი  განათლება ფინანსების ან ეკონომიკური განხრით);

ბ. არანაკლებ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება (სასურველია შესაბამის სფეროში);

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

ე. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ვ. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ვ.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ვ.ბ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

ვ.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ვ.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

8. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს საორგანიზაციო და საოქმო წარმოების საკითხებში მოეთხოვება:

ა. საშუალო-სპეციალური განათლება (სასურველია უმაღლესი  განათლება);

ბ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

გ. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;

სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

დ. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

დ.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

დ.ბ. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

დ.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

დ.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

9. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მოეთხოვება:

ა. საშუალო-სპეციალური განათლება (სასურველია უმაღლესი  განათლება);

ბ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

გ.  ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

დ. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ე. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ე.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ე.ბ. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

ე.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ე.დ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

10. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში მოეთხოვება:

ა. საშუალო-სპეციალური განათლება (სასურველია უმაღლესი  განათლება);

ბ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

გ.  ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება;

დ. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ე. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ე.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ე.ბ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ე.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

11. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მოეთხოვება:

ა. საშუალო-სპეციალური განათლება (სასურველია უმაღლესი განათლება ჟურნალისტიკის ან PR მენეჯმენტის განხრით);

ბ. სასურველია შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;

გ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

დ. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

ე. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

ე.ა. საქართველოს შრომის კოდექსი;

ე.ბ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ე.გ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

ვ. სასურველია ერთი ან რამოდენიმე უცხო ენის (ინგლისური, რუსული, ფრანგული) ცოდნა და კომუნიკაციის უნარი;

ზ. დამატებით სასურველია ფლობდეს ვებ-დიზაინის და **Ms Powerpoint, Adobe Photoshop, Adobe Pagemaker** კომპიუტერულ პროგრამებს;

12. საკრებულოს მთავარ სპეციალისტს (ტექნიკურ მდივანს) მოეთხოვება:

ა. საშუალო-სპეციალური განათლება (სასურველია უმაღლესი განათლება);

ბ. მონაცემთა ბაზებთან და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;

გ. მოლაპარაკების წარმოებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი; გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი; ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; ურთიერთთანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა;

დ. დამატებით შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

დ.ა. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

დ.ბ. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;